# სახალხო გაზეთი

№ 279 შაბათი, 16 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 279

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე; და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

### ქართული თეატრი
## შაბათს, 16 აპრილს, ი. გრიშაშვილი
ქართველ მწერალთა დახმარებით და ბარბარე რონელისა და ოლგა ლეჟავას მონაწილეობით

**დახდგამს ქართულ წარმოდგენას:**

წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა:

## „ღალატი“

ისტ. ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ბ. რონელი—ზეინაბი.
ნ. კონსიოტი—რუქაია.
ოლ. ლეჟავა—გაიანე.
განდეგილი—ისახარი.
ბ. კორინთელი—მაიკო.
თაგუნა—სოლეიმან-ხანი.
ი. ელეფთერიძე—ოთარ-ბეგი.
გრ. ყიფშიძე—ანანია გლახა.
ხვ. ყიფიანი—დათო.
ვალიკო გურული—ერეკლე.
ყანჩელი.—საბა-ბერი.
სოფ. მგალობლიშვილი—ბესო.
გ. ახალციხელი—გიგა.
ამირეჯიბი—ყარ-უსუფი.
კ. თუმანიშვილი—ალ-რაზაკი.

ადგილ. ფასი საბენეფისოა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. **დასაწყ. სოლ. 8 ს.**

მთავარი რეჟისორი **ვ. გუნია.** სამხატვრო ნაწილის გამგე **ი. ნიკოლაძე.**

ადმინისტრატორი **პართენ გოთუა.** (7—1218—7)

## იაფ-ფასიანი ლექცია. სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა
კვირას, 17 აპრილს 1911 წ. ნაფიცი ვექილის თანაშემწე **ა. ზ. ლგალაძე** წაიკითხავს ლექციას რუსულად შემდეგ თემაზე:

### საერთა-შორისო მდგომარეობა საქართველოსი უძველეს დროს და თამარ მეფის შემდეგ

I 1) მოკლე ეთნოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები ქართველი ტომის შესახებ, 2) ომები და კავშირება საქართველოსი წინა აზიის უძველეს სამეფოებთან, 3 გავლენა რომისა, ბიზანტიისა და არაბებისა ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, 4) თამარის მეფობა, II 5) ქართველების შევიწროვება მონღოლებისაგან და სელჯუკებისაგან, 6) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა დაყოფის შემდეგ რუსეთთან შეერთებამდის. ადგილების ფასები 5 კ.—50 კ. დასაწყისი დღისით 12½ საათზედ. ადმინისტრატორი გ. იორდანაშვილი. (2—557—1)

## ქართული თეატრი
კვირას, 17 აპრილს, ქართულ თეატრის მსახიობი

**შაქრო საფაროვი**

გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული ტრაგედია

## დიდი მოურავი,

5 მოქ. და 17 სურათად, თხზ. ან. ფურცელაძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიქტორელი, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, გრიშაშვილი, გუნია, გამყრელიძე, გვარამძე, იგანიძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი და სხვანი.

**ამავე პიესაში ქართული ხორო შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს.**

ადგ. ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.-მდე. **დასაწყისი სად. 8 ს.** (2—1217—2)

### ავჭალის სახალხო აუდიტორია.
**შაბათს, 16 აპრილს,** სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება . გუნიას 5 მოქმედ. ისტორიული დრამა „და-ძმა“. მონაწილეობენ ქ-ნნი: ნემოდი. ბიერიძე და ს. რომანიშვილი ბ-ნნი: გელიკურაშვილი, მაჭავარიანი, მელაშვილი, გახელი, პეპანოვი, ხალაყაია, ძამამია, მნელაშვილი, ჯაბაური და სხვანი. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე 5—8 ს. ფასი 5—20 კ. დასაწყისი საღ. 8 საათ.

მორიგე წევრი **გ. დურგლიშვილი.**

შემდეგისათვის მზა ძდება «უდანაშაულოთ დასჯილნი», ოსტროვსკისა. (2—1124—2

## ტფილისის კერძო სამკურნალო
### გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

ხამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დბვთიაშ'ი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღლაკელიძე გ. გ.** შინ., სამშ. და ხაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**თრემბოვეცკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირაძლოვი რ. ხ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულაბეროვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადღაურით. (წ.—1089—442)

კანტორა აცხადებს რომ ხელის-მომწერთ, რომელთაც ხელის-მოწერის ფული 1 იანვრიდგან მხოლოდ 3 მან. აქვთ შემოტანილი,

**გაზეთის გზავნა მოესპოგათ 20 აპრილიდგან.**

## გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის
**თხზულებათა პირველი წიგნი:**

**„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.**

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერ.ეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

**ტფილისში** წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა“ ს („Новая Рѣчь“) წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. **ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—11)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო
რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, [illegible]

ბოლოკ[illegible]

## ცირკ[illegible]



16 აპრილს, 1911 წ. მეექვსე დღე

## ფრანგულ ჭიდაობისა
საერთაშორისო ჩემპიონატისა, ი. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით.

## დღეს 4 საინტერესო ჭიდაობა
პირველად იჭიდავებენ მსოფლიოდ ცნობილი ფალავნები „შავი ნიღაბი“ მსოფლიო ჩემპიონი და მსოფ. ჩემპიონი [illegible] პროგრამა სინამატოგრაფისა.

დღეს მონაწილეობას ღებულობს მისს ვინჩესტერი.

ა ნ ო ნ ს ი: ამ დღეებში იქნება დებიუტი ტფილისში ცნობილ ხუთ ძმათა ლავროვებისა და სხვა ახლად მოწვეულ არტისტებისა.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ჭიდაობის დასაწყისი დაახლოვებით საღამოს 11 საათზე. ბილეთები ცირკის კასაში იყიდება. (1—1216—1) დირექცია.

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

## ს. ხრისტოდულიდისი
აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

## ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში
და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—30)

**საგურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—25)

## ბალი ედემი
**მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ**

**ბალ ედემში** ყოველ-ნაირი შენობები: კაბინეტები და ფანჩატურები (ბესედკები) ხელ-ახლად შეკეთებულია; გაკეთებულია **ახალი დიდი დარბაზი სცენით, მუსიკისათვის,** რომლისათვისაც, **გერმანიიდან მოწვეულია ჯერ რუსეთში უნახავი**

**გერმანულ ქალ-ვაჟთა ორკესტრი** (მთელი ოჯახობით),

რომელთა მონაწილენიც დამღერიან და უკრავენ როგორც სიმებიანისა, აგრეთვე ჩასაბერ („დუხოვოი“ს ) საკრავებზე

**გ. ავგუსტოვის** მეთაურობით.

**მუსიკა დაუკრავს 11 აპრილიდან ყოველ-დღე 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე და ღამის 10 საათ.-დან 2 საათამდე.**

**ბაღში არის პირველ-ხარისხოვანი ბუფეტი, ყოველ-ნაირ ადგილობრივი და საზღვარ-გარეთულ სასმელებით, აზიურ-ევროპიული სამზარეულოთი, სადაც ყოველ წამს მოიპოვება ცოცხალი თევზი.**

**ვიკვეთავთ აგრეთვე სადილებსა და ვახშმებს.**

(5—1223—4) „ედემი“-ს ბალის პატრონი **კ. ი. ბაქრაძე.**

## ვამზადებ მოწაფეებს
გიმნაზიის უმცროს კლასებისათვის. აგრეთვე: ფერშლის, სახელოსნო და სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ჩერქეზოვის ქუჩა № 125. ნახვა 3—6 საათამდის. (3—556—2)

**ელექტრონისა და რენტგენის**
### სამკურნალო
## მიხეილ გედევანიშვილისა
**ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.** (0—6.—96)

### ვაგზლის კერძო
## სამკურნალო
**კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. სობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—38)

**ქ. ქუთაისში**

**ქირურგიული და დედათა სნეულების**

## საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის

[illegible]

იქვე წამლობენ სიფილ[illegible] ფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—85)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—28

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—45)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (ი.—188—47)

**ექიმი** ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი** კათოლიკების ქუჩა N 33. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და სიმსივნისა სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებოდ შეხვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—38)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**სტუდენტები** (უფ. ექსტერნ.) ამზადებენ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სიმწიფის მოწმობაზე, მასწავლებლობაზე და ლათინურ ენის დამატებითი ეგზამენისათვის. აგრეთვე უსწორებენ გაკვეთილებს ხელმისაწდომ ფასში. მისამართი: ანჩისხატის ქუჩა, სახლი № 18, ბინა № 1. (5—3)


## ტფილისი, 16 აპრილი

**წერა-კითხ. გამავრცელ. საზ. მოწვეული კრება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრების ვადა ახლოვდება. ანგარიშები, მართალია გვიან, მაგრამ მაინც დაიბეჭდა და მსურველთ კიდეც დაურიგდებათ. მთელი სურათი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა საზოგადო კრებაზე გამოირკვევა. ეხლა მის განხილვას არ შევუდგებით. მხოლოდ ორიოდე სიტყვით განვიმეორებთ იმას, რაც უკვე ერთხელ გამოვსთქვით. ჩვენ აუცილებლად საჭიროებად მიგვაჩნია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედება გამარტივდეს. რამდენადაც ვიწრო სამოქმედო ასპარეზს შემოიფარგლავს საზოგადოება, იმდენად ნაყოფიერი იქნება მისი მოქმედება. დღეს წერა-კითხვის საზოგადოება რამდენადაც თავის პირდაპირ დანიშნულებას აცდენილია. მას ბევრი ისეთი საქმე აქვს დაკისრებული, რომელთა გასაძღოლადაც საგანგებო კულტურული დაწესებულებანი დაარსდა ჩვენში, ამიტომ შრომაც უნდა განაწილდეს. შრომის განაწილება მისი ნაყოფიერების ზრდის საუკეთესო თავმდებია. ეს საკითხი აუცილებლად უნდა განხილულ იქმნას საზოგადო კრებაზე და შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც შრომის განაწილებისა, ისე საზოგადოების მოქმედების გამარტივებისა.

შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ფილიალურს განყოფილებებს. ფილიალური განყოფილებანი თუ მარტო სახელით იარსებებენ და საქმით კი არაფერს გააკეთებენ, სჯობიან სრულიადაც არ არსებობდეს. საზო[illegible] განყოფილება აქვს და იმათგან მხოლოდ 10 განყოფილებამ წარმოადგინა ანგარიში 1909 წლის მოქმედებისა და მხოლოდ 6—1910 წლისა. რა საჭიროა ისეთი განყოფილებანი, რომელნიც თავის დროზე ანგარიშებსაც ვერ წარუდგენენ მთავარ გამგეობას? უნდა შემუშავდეს განსაზღვრული სავალდებულო მუხლები; თუ ეს სავალდებულო მუხლები განყოფილებამ არ დააკმაყოფილა, იგი უნდა დახუროს თვით მთავარმა გამგეობამ. საჭიროა სისტემატიური რევიზია ფილიალურ განყოფილებისა, რისთვისაც, ჩვენის აზრით, უნდა დაწესდეს განსაკუთრებული თანამდებობა რევიზორისა. ფუნქციები რევიზორისა და სკოლათა ინსპექტორისა შეიძლება შეერთდეს.

ყველა ამისთვის საჭიროა არჩეულ იქმნას ენერგიული გამგეობა, რომელიც ერთხელ შემუშავებულ მოქმედების გეგმით, რუტინით არ დაკმაყოფილდება და საქმეს გააცხოველებს.

## ქართული პრესა

„ცხოვრების საქმე“ მომავალ არჩევნებისთვის ნიადაგს ამზადებს. არჩევნები მართალია ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ გაზეთს მაინც საჭიროდ მიაჩნია დაახასიათოს ისინი, ვისკენაც არის მიმართული მათი სიმპატია-თანაგრძნობა.

იქ სადაც არჩევნებია, არსებობს საარჩევნო სამზადისი და კომპანია. რომ ამომრჩეველმა რომელიმე პარტიის წარმომადგენელს ხმა მისცეს, საჭიროა მას ნათლათ ქონდეს წარმოდგენილი ის პროგრამა, რომელსაც ამორჩეული დაიცავს. გარდა ამისა, თუ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი უკვე იყო არჩეული, გამოვიდა კანონმდებლობის ასპარეზე, მაშინ ამომრჩეველს სადათ უნდა ქონდეს შეთვისებული ამ წარმომადგენელის მოღვაწეობა საკანონმდებლო ორგანოში, მას ახსნილი და განმარტებული უნდა ქონდეს თუ რა აკეთოს, რა შესძლოს და რა პირობებში მოქმედებდა დეპუტატი.

ამის შემდეგ გაზეთი იგონებს პირველ და მეორე სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატთა ხვედრს და დასძენს, რომ მათ აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ ტრიბუნიდან მაინც ისმოდა მათი ხმა.

მაგრამ, ამბობს გაზეთი,—ჩვენ ინტელიგენციას, თავისებური სუნით გაჟღენთილს, ყველა ამაზე თვალები აქვს ახვეული და სმენა დახ-ურული. ვითომდა ეს არაფერი, ვითომ ყველა ეს მოსახსენებელიც არ აყოს. ასეთ მიჩუმებას კი პრაქტიკული მოსაზრებით ჩადიან.

რა მოსაზრებაა ეს პრაქტიკული მოსაზრება, ვერ გავიგეთ. ამოწერილ სიტყვების შემდეგ გაზეთი გვამცნობს, რომ სტოლიპინს აზრადა აქვს მემარცხენე მიმართულებაზე მიიტანოს იერიშიო. შემდეგ კვლავ იმეორებს იმას, რომ ვილაცას დიდი სურვილი ჰქონია მემარცხენე დეპუტატთა სამუშაოების გადაფუჩეჩებისა.

„მაგრამ ბრძოლა აქ ერთ ფრონტზე არ ხდება. ამ დევნილებმა, ხალხისათვის თავდადებულებმა, უნდა ანგარიში გაუწიონ არსებულ პარტიებს და მათ ორგანოებს, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში სხვას არას ჩადიოდენ, რომ ან ჩვენ დეპუტატების ნამუშევარი გადაეფუჩეჩებინათ, ან შანს უგზავდენ: მასალას ჩვენგან, ამა თუ იმ ადგილობრივ საკითხის შესახებ, რატომ მოითხოვთო, ან მათი ნათქვამით სარგებლობენ, რომ სახელი გაუტეხონ.“

ამ საქმის ჩამდენი ყოფილა „ზაკავკ. რეჩი“,

რას მოასწავებს, თუ არა ასეთ ოინებს „ზაკავ. რეჩი“-ს მოწინავე, სადაც ის აღნიშნავს, რომ მადლობა ღმერთს, სოც-დემ. აღიარეს, რომ ქართველებს გარუსება არ სურთო.

უნდა ჰურში იცხოვრო, ს-დემოკრატიული პროგრამის ანბანი არ უნდა იცოდე და მერე ტუტუცი უნდა იყო, რომ დეპუტატის სიტყვები ასე გამოიყენო.

„სიტუტუცე“ კი მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მადლობა ღმერთს ჩვენს დეპუტატებს გარუსება არა სურთო. რა თქმა უნდა, არც ერთი ჭკვათა მყოფელი არ იტყვის, ჩვენი დეპუტატები გარუსების მოსურნენი არიანო, მაგრამ პირველს ხანებში მათ ისეთი პოზიცია დაიჭირეს, რომ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდნენ ქართულ საზოგადოებაში.

სხვა რომ არა ვსთქვათ, ვინ შექმნა სახელმწიფო სათათბიროში ეგრედ წოდებული „კავკაზსკი ზაპროსი“, ვინ შეიმუშავა დროებითი ვალდებული გლეხების განთავისუფლების კანონ-პროექტი.

ყველა ეს მართალია, მაგრამ არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ ქართველმა დეპუტატებმა მხოლოდ მაშინ შეიცვალეს მოქმედების გეგმა, როდესაც პრესამ და საზოგადოებამ აღნიშნა უსაფუძვლობა იმ ნიადაგისა, რომელზედაც ისინი იდგნენ. იყო მომენტი, როდესაც ჩვენი დეპუტატები მთელი რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებად აცხადებდნენ თავიანთ თავს და ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივ საქმეებს. ეხლანდელ დეპუტატებს ასეთს საყვედურს ველარ შევუთვლით. ისინი, მართლაც, უფრო ყურადღებით ექცევიან ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს. მაგრამ მაინც ვერ შეიძლება ითქვას, რომ მათი მოქმედება ყოველის მხრით დამაკმაყოფილებელია.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ქალაქის ხმოსანთა მომავალმა არჩევნებმა ადგილობრივი რუსული გაზეთი „გოლოს კავკაზა“ აალაპარაკა.

იგი სწერს:

„ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაში დაჩაგრულ ერებსაც უნდა დაეთმოთ ადგილი, რუსებს, ქართველებსა და თათრებს.

ასეთმა საზოგადოებრივ აზრის მიმართულებამ მთავრობის ყურადღება დაიმსახურა, რის შედეგადაც იყო, რომ ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაადგინა ქალაქი მომავალ არჩევნებისათვის 11 საარჩევნო უბნად დაიყოს (დიდუბე, ნაძალადევი, კუკია, სოლოლაკი, ვერა, ხარფუხი და სხვა).

როგორიც უნდა იყოს ასეთ სისტემით მომხდარ არჩევნების შედეგი, ერთი რამ მაინც ცხადია—ხმოსანთა შემადგენლობა უცილობლად შეიცვლება; ხმოსნებად სულ ახალი ძალა გავა, რომელიც ჯერ საზოგადო ქადის ჭამაში შეჩვეული არაა, მცხოვრებლებთან ახლო დაკავშირებულნი და ყოველ საარჩევნო უბნის საჭიროებასთან ახლო მდგომნი...

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა რუსებსა და ქართველების შეთანხმებას უნდა ჰქონდეს. თუ ეს მოხდა—დღეს არსებული ქალაქის რეჟიმი საბოლოვოდ დამარცხდება.

ასეთ შეთანხმებაში საწინააღმდეგოს არაფერსა ვხედავთ, იგი მხოლოდ ორთავ საარჩევნო ჯგუფთა საზოგადოებრივ სიმწიფეს დაამტკიცებდა.

ჩვენ ქართულ გაზეთების ერთის ნაწილის აზრს არ ვიზიარებთ, ვითომც ასეთ შეთანხმებას ორთავ საარჩევნო ჯგუფთა პოლიტიკურ შეხედულობათა სხვა და სხვაობა უშლიდეს ხელს. იმედი გვაქვს ამ აზრის მიმდევართ გონიერი ნაწილი ქართველის საზოგადოებისა არ აჰყვება, რადგანაც ასეთი დროებითი და კეთილ-სინდისიერი შეთანხმება არც ერთს მხარეს არაფერში ხელ-ფეხს არ შეუკრავს, თავის წამოყენებულ ხმოსნების გაყვანის შემდეგ, მათის საშუალებით თავისის შეხედულების მიხედვით შეუძლიანთ იმოქმედონ.

ჩვენიგან შეუთანხმებლობა—მოპირდაპირეს ხელის შეწყობასა და აუცილებელ დამარცხებას უქადის მათ.

* * *

„ნოვოე ვრემია“ ჩინეთის მიერ ამ მოკლე ხანში აღებულ სესხზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ სარეფორმო მოქმედება ჩინეთში ეხლა დიდის სისწრაფითა სწარმოებსო. ვიდრე ჩინეთი ახალ წეს-წყობილებას ეღირსება, საჭიროა თავისი მთლიანობა შეინარჩუნოს, ის მთლიანობა, რომელსაც ოთხივ კუთხით ემუქრებიანო. გაზეთი ჩინელ მოღვაწეთა აზრს გადმოგვცემს. ერთ ჩინელ გამოჩენილ რეფორმატორს უთქვამს:

„დიდი ცვლილებანი ხდება ჩვენს თვალ წინ. შორეულ ქვეყნებიდან, რომლებიც 10,000 მილით არიან ჩვენზე დაშორებულნი უცხოელნი მოვიდნენ, კარი დაგვიკაკუნეს და ბაზარი ითხოვეს. დიდი მეფის მოწყალება უსაზღვროა: ყველას უწყალობა ბაზარი. მაგრამ უცხოელებმა ეხლა ბაზარი კი არა, ჩვენი მიწა-წყალი მოითხოვესო“.

გაზეთი დასძენს, რომ უცხოელების თავიდან მისაშორებლად, ჩინელმა მანდარინებმა ახალი ჯარები შეადგინეს. ამ საქმეს ეხლანდელი სამხედრო მინისტრი იაჩანგი ხელმძღვანელობს, ინჩანგიმ ომი ჯერ ფინანსთა მინისტრს გამოუცხადა, მისი აზრით საჭირო იყო ფულის სისტემის გაუმჯობესება და ახალ ვადის აღება. შარშან შემოდგომაზე მთავრობამ ედიქტი გამოუცია, რომლითაც ფულის ერთგვარ სისტემის შემოღება გამოაცხადა. სისტემა ვერცხლის ვალიუტაზე იყო დაფუძნებული. ვალის აღებაც მოახერხა ჩინეთმა. ამერიკამ, ინგლისმა, გერმანიამ და საფრანგეთმა 100 მილიონი მან. ასესხეს. ჩინელების სიტყვით, ეს ფული ფინანსიურ საქმეებს უნდა მოხმარდეს

გაზეთს აკვირვებს, რომ ამის და მიუხედავად პირველადვე მიღებული 10 მილიონი ფული ჩინეთმა მანჯურიის განსაკუთრებლად გადასდო. გაზეთი კითხულობს:

„რა მიზნითაა აღებული ეს ფული? იქნებ იგი მანჯურიის ჯარის გასაძლიერებლად უნდათ, ან სტრატეგიული რკინის გზის გაყვანა ჰსურთ, მაგ. ისე, როგორც იგულისხმება ჰსურთ მისი გაყვანა? თუ ჩინელებმა ფული ფინანსიურ საქმეების მოსაწყობად ისესხეს, მაშ პირველადვე აღებული ნაწილი ვალისა მანჯურიას რისთვის მოახმარეს? რად არის, რომ სესხი უმთავრესად მანჯურიის მონოპოლიითაა უზრუნველყოფილი? ერთი სიტყვით, იქნებ ეს ახალი საშუალებანი ჩინელ მანდარინების წასაქეზებლადაა შემოღებული, რომ მათ რუსეთისა და იაპონიის საზღვრებზე საშიში ექსპერიმენტები მოახდინონო?“.

გაზეთს არა ჰსურს ამის დაჯერება, მაგრამ უკანასკნელად მიღებულ ცნობებს ეჭვში შეჰყავს. ამერიკელების მოქმედებას ჩინეთის დაცვადა სთვლის. ეჭვშია, ვაი თუ ამერიკა ჩინეთს მოელის, რომ რუსების და იაპონელების მანჯურიისაკენ გათომ-და გაწვდნილი ხელები უკან დააწევინოსო.

ამერიკელებს უთქვამთ, თუ მოვახერხეთ და სახელმწიფონი ფინანსიური მხრით დავაინტერესეთ, მაშინ ჩინეთის მთლიანობის დაცვა ადვილი იქნებაო, მაგრამ ვინ და როდის მოისდომა ამ მთლიანობის დარღვევა? ამაზე კერძო ლაპარაკმა, პეკინელ მანდარინებს მოაჩვენა, ვითომც ევროპიელებს ჩინეთის დაპყრობა ჰსურდეთ“.

დიდი მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში დაირღვაო,—ამბობს გაზეთი. ამიტომ საფრანგეთი და ინგლისი გონივრულად მოიქცეოდნენ, თუ სესხის გაღების დროს, ჩინეთს პირობით შეეკრებოდნენ, რომ ეს ფული მხოლოდ კულტურულ საქმეებზე მოეხმარებინა და არა სამხედროზეო. თუ ესენი ასე მოიქცნენ, მაშინ სხვებიც მათ უნდა აჰყვნენ. რუსეთ-იაპონიის ხმა შორეულ აღმოსავლეთში ცოტა რამეს ხომ მაინც ჰნიშნავსო.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **საუნივერსიტეტო კომისიაში.** 14 აპრილს ქალაქის საბჭოს დარბაზში ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის კრება მოჰხდა, რომელსაც დაესწრნენ საგანგებოდ მოწვეულნი წარმომადგენელნი კავკასიის სხვა და სხვა ქალაქისა, საზოგადო დაწესებულებისა და პრესისა. როგორც საუნივერსიტეტო კომისიის თავმჯდომარის თავ. გ. მ. საუმანიშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, მომავალ უნივერსიტეტისათვის ერთდროულად შეუქვამთ —1.491,500 მან., ხოლო ყოველწლიურად—58,300 მან. კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტის სასარგებლოდ ფულის შეკრების საქმე პროვინციებში რიგიანად არ არის მოწყობილი. დაწვრილებით ხვალ.

✦ **ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენას მართავს.** წარმოდგენილ იქნება სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“. როლები ქართველ მწერალთა შორის არის განაწილებული. ზეინაბს ითამაშებს—ბარ. რონელი, რუქაიას—ნ. თარხნიშვილი-კონსიოტისა, გაიანეს—ოლგა ლეჟავა, ისახარს—განდეგილი, მაიკოს—ბარ. კორინთელი, სოლეიმანს—თაგუნა, ოსარ-ბეგს—ი. ელეფთერიძე, დათოს—სვ. ყიფიანი, ირაკლის—ვალიკო გურული, ანანია გლახას—გრ. ყიფშიძე, საბაპერს—ბ-ნი ყანჩელი, ყარა-იუსუფს ბ-ნი ამირეჯიბი, ალ-რაზაკს—კ. თუმანიშვილი, გიგას—გ. ახალციხელი და ბესოს—სოფრომ მგალობლიშვილი. წარმოდგენა საღამოს რვა საათზე დაიწყება.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოებაში.** როგორც ვწერდით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება 21 აპრილს მოჰხდება, სამეურნეო ბანკის სადგომში. განსახილველ საგანთა სიის შესადგენად და საზოგადოების კრებისთვის მოსამზადებლად დღეს, 16 აპრილს, სხდომა ექმნება საზოგადოების გამგეობას. საზოგადოების 1909 და 1910 წლის ანგარიშები უკვე დაიბეჭდა და გუშინ ჩვენმა რედაქციამ მიიღო.

✦ **სახალხო კითხვათა საზოგადოებაში.** 14 აპრილს ქალაქის გამგეობის სადგომში ქ-ნ ზურაბოვის თავმჯდომარეობით სახალხო კითხვათა საზოგადოების წლიური კრება მოჰხდა. პირველად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების წევრის, განსვენებულ მარიამ ივანეს ასულ დემურიას ხსოვნას და შემდეგ მორიგ კითხვათა განხილვას შეუდგა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას 1909 წლის პირველ აპრილიდან 1911 წლის პირველ აპრილამდე ლექციები გაუმართავს: რუსული—254, ქართული—39 და სომხური—44. ლექციებს დასწრებია—25,400 სული. შემოსავალი ჰქონია 3.136 მან. ხარჯი—3,121 მან., ნაღდი ფული აქვს—15 მან. ამის შემდეგ მიღებულ იქმნა საზოგადოების წევრად 21 კაცი და დასასრულ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები მოჰხდა. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ა. ს. ბაბოვი (თავმჯდომარე), ქ-ნნი: ე. ნ. ჩილინკაროვისა, ფ. ს. ვარდანიანისა, ა. ფალავასი, ზავარიან-აკოფიანისა, მ. ი. ქუქსიშვილისა და ბ-ნი პლამენევსკი.

✦ **ახალი ხიდი ყუბანის ქუჩის შესაერთებლად ვაგზლის მოედანთან.** ყუბანის პარკისა, სტავროპოლისა და ჩერქეზიშვილის ქუჩების მცხოვრებნი, რომელნიც ვაგზლის პირდაპირ სცხოვრობენ რკინის გზის ლიანდაგის გაღმა და რომელთა რიცხვი 20,000 კაცს აღემატება, ამ ჟამად დიდს გაჭირვებას განიცდიან იმის გამო, რომ ნაძალადევში არსებული სარკინისგზო ხიდი მათზე მეტად დაშორებულია და შუა ქალაქში წამოსასვლელად შორის გზით მოვლა უხდებათ. ამის გამო ხსენებულ ქუჩების მცხოვრებლებმა საერთო თხოვნით მიმართეს ამიერკავკასიის რკინის გზას უფროსს ნეიგებაუერს. სთხოვენ: რკინის გზის ხარჯით ხიდი გაკეთდეს ყუბანის ქუჩის მესაერთებლად ვაგზლის მოედანთან.

✦ **იაფ-ფასიანი ლექცია სახალხო სახლში.** კვირას, 17 აპრილს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. ზ. ღვალაძე რუსულად წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსი უძველეს დროს და თამარ მეფის შემდეგ.“ ადგილების ფასი 5 კაპ.,—50 კაპ., დასაწყისი დილის $12^1/_2$ საათზე.

✦ **ქალაქის მოურავი ნამესტნიკთან.** 13 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი ნამესტნიკთან სადარბაზოდ იყო. მოურავმა ნამესტნიკს მოახსენა დადგენილებანი პეტერბურგში მომხდარ ხოლერის საწინააღმდეგო კრებისა, მდგომარეობა ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობებისა პეტერბურგში, განსაკუთრებით საკითხისა, ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ და დასასრულ სთხოვა ნამესტნიკს, 23 აპრილს მუხრანის ხიდის კურთხევას დაესწროს.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება** 18 აპრილს მოჰხდება, რომელზედაც, სხვათა შორის, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს მოხსენებას პეტერბურგში თავის მოგზაურობის თაობაზე.

# მცირე შენიშვნა

ცხადზე უცხადესია, რომ ენის და მისი კანონების გამოკვლევა დიდს საძნელოს რასმეს წარმოადგენს. ხშირად ერი მდიდარი მწერლობით, ღარიბია გრამატიკით ე. ი. გამომუშავებული კანონებით იმ ენისა, რომელზედაც ლაპარაკობს და სწერს. ამა თუ იმ ენის გრამატიკაში ზოგიერთს უსაჭიროეს კანონებს, ფორმებს, ვერც კი იპოვნით; ზოგი კი იმნაირად არის შეტანილი გრამატიკაში, რომ თვითონ ავტორსაც არ ესმის. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვინდება. ავიღოთ ჩვენი სახელმწიფო ენა, რომელზედაც მდიდარი ლიტერატურა არსებობს და ნიჭიერი შვილები, განთქმულნი მწერლობით, ბლომად მოიპოვებიან. აი ამ ენის შესასწავლად უთვალავი გრამატიკები დაიწერა და იწერება, მაგრამ ისეთს ერსაც ვერ იპოვნით, რომელშიაც ამ ენის კანონები საკმარისად იყოს გამომუშავებული. გრამატიკოსებს ვერც კი გამოუკვლევიათ, თუ რამდენი კანკლედობაა ამ ენაში. დაბეჯითებით არც კი იციან ამ ენის შვილებმა, მეცნიერებმა, თუ რად იწერება და გამოითქმის ცნობილი სიტყვა ასე თუ ისე. საზოგადოდ ენა ჯურღმული რამ არის და მისი კანონებიც ღრმად ჩამარხულია უფსკრულში, გრამატიკოსები მათ ვერა სწვდებიან. ქართული ენაც მეტს არას წარმოადგენს. შედარებით სხვა ცნობილ ენებთან, ქართულს ენაში შეიძლება მცირე რამე ჩაითვალოს გამოკვლეულად, დანარჩენი სიბნელეშია.

ქართულის ენის გრამატიკის შემდგენელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ძველი მწერლობის ენა და მასში ეძიოს ფორმები და კანონები ახალ სამწერლო-სალიტერატურო ენისათვის, რადგანაც ძველის მწერლობის—მეთორმეტე საუკუნის, ეგრე წოდებული „რუსთაველის ენა“ მდიდარ ფორმებით და გამომეტყველებით, ყველა ქართველისათვის გასაგებია. აი, ამ ენის ფორმები და კანონები უნდა ედვას საფუძვლად ახლანდელს ქართულ სალიტერატურო ენას.

არსებულ ქართულ გრამატიკებთა შორის დღემდის საუკეთესოდ ითვლებოდა ჩუბინაშვილის გრამატიკა და დღეს კი უპირატესობა ეძლევა ბ. ს. ხუნდაძის გრამატიკას, რომელშიაც უფრო გამომუშავებულია ქართულის ენის კანონები და ფორმები, მინამ სხვებში. მიუხედავად ამისა, ნაკლულევანება ამ პატივსადებ შრომასაც აქვს, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ გრამატიკის შედგენა ადვილი არ არის.

თავი და თავი ნაკლულევანება ამ გრამატიკის, რომელიც პირველად გვეცემათ თვალებში, არის დაყოფა კლასებად. გრამატიკა ერთს მთელს რამეს არ წარმოადგენს. ვერ არის პედაგოგიური ჭეშმარიტება, როდესაც პირველი კლასის მოწაფეებს მეორე კლასის კურსზე უთითებთ, იქ უფრო ვრცლად იქნებაო; მეორეს მესამეზე; მესამეს მეოთხეზე და სხვა... აუცილებლად გრამატიკა მთელს რასმეს უნდა წარმოადგენდეს; დაყოფა კურსებად და გავლა მასწავლებლის საქმეა და არა ავტორის.

რაც შეეხება ამ გრამატიკაში მოთავსებულს კანონებს და ფორმებს ქართულის ენისას, შევნიშნავთ შემდეგს: სამჯერ გამოიცა ბ. ხუნდაძის გრამატიკა და სამივე გამოცემაში შვიდ-შვიდი ბრუნვა არის მოყვანილი და მე-6 ბრუნვას უწოდებს: „ვნებითი“ ბრუნვას, როდესაც ამ ბრუნვას „შემასმენელობითი“, „განმარტებითი“ ან „განვითარებითი“ დარქმეოდა უკეთესი იქნებოდა, რადგანაც ეს ბრუნვა შეგვასმენს, განგვიმარტავს და განვითარებას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა მოსდის საგანს, საგანი რისთვის არის საჭირო. მაგალითად: პეტრე სჭრის ხეს, მიდის ივანე და ეკითხება: „პეტრე, რად სჭრი ამ ხეს?“ პეტრე უგებს: „შეშად მინდა“. ვთქვათ, პავლე ყიდულობს მოზვრებს, მიდის მეზობელი და ეკითხება: „რად გინდა ეს ხბოები, პავლე?“ „უნდა ხარებად დავზარდო“, უგებს პავლე. აქ არავითარ ვნებას საგნისას არა ვხედავთ, არამედ განმარტებას, განვითარებას, შესმენას ანუ ახსნას იმისას, თუ რად უნდა პეტრეს ხე და პავლეს მოზვრები. დაბოლოება ამ ბრუნვაში სიტყვებისა უნდა თავდებოდეს ასოთი „დ“ და არა „თ“ და აგრეთვე კითხვები წარმომდგარი სიტყვებიდან: „ვინ?“ და „რა?“ მაგალითად: „რად“, „კაცად“, „შეშად“, „ხარებად“. აი, ამნაირს დაბოლოებებსა ხმარობენ ჩვენი ძველი და ახალი მწერლებიც. მოვიყვანოთ მაგალითები შეძლებისდაგვარად.

შოთა რუსთაველი: ტაეპ. 685:

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად;
კვლავ მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,—
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად,
თავი ფლიდად.

შავთელის „აბდულ მესია“. ტაეპი 8: „ბოლუქ-ბოლუქად“. „მყის სასადუქად. „მირონ—გუნდრუკად“.

თამარიანი. ტაეპი 12. „აჰა მზიანად“. „მიზეზიანად“. „ეწოდა მამად“.

ამირან-დარეჯანიანი. ჩუბინაშვილის ქრისტომატია 1846 წლისა 18 გვერდი. „ინადირა დიდად“.

რუსუდანიანი. გვერდი 36: „ჯიმშედ ნადირს თამამად მოკლავდა“.

ვისრამიანი. გვერდი 74. „ერქვა სახელად ზარდი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე. ლექსი: „თავსა უფლად“.

ნ. ბარათაშვილი. „ფიქრი მტკვრის პირას“.

„წარვედ წყლის პირსა სევდიანი
ფიქრთ გასართველად:
იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს
განსასვენებლად“.

გ. ორბელიანი. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

„ჰსჩანს ძველს კედელზედ გამოხატულად“.

ვახტანგ ორბელიანი. ლექსი: „მთის ქალი და მოგზაური“.

„და ან რად მინდა მე სამშობლოდ
უცხო ქვეყნები“.

ი. ჭავჭავაძე. მოთ. „გლახის ნაამბობი“ თავი III. „ბატონმა ისევ მამაჩემის წყენა არჩია და უთხრა თავისებურად, გულმტკივნეულად“...

აკაკი წერეთელი. „ჩანგურის ძალა“.

„აწ აღარ მაქვს მე ფარად პირმოთნეობა მარად,
და მისთვისაც ვერვის ვხედავ მეგობრად გამახარად“...

გაჟა-ფშაველა. „მოხუცის ნათქვამი“ თავი V.

„რაღა გვინდოდა მოზარედ შავად
ჩაცმული ქალები“...

სხვა მწერლებიც ზემოაღნიშნულს კანონებს ქართულის ენისას მტკიცედ იცავენ თავიანთ შრომებში. მართალია, დასავლეთ საქართველოს მცირე ნაწილი ლაპარაკში ზოგჯერ ხმარობს სიტყვას „კარგათ“, „ცუდათ“ და სხვა.. მაგრამ ეს ლიტერატურული გამოთქმა არ არის, ამიტომ, ჩვენი აზრით, კანონად უნდა დაიდოს, რომ სახელი არსებითი, ზედსართი (ზედშესრული), ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა, და ზმნის სართი (ზმნის ზედითი), რომელიც კი იბრუნვის, შემასმენელობითი ან განვითარებითი ბრუნვაში და კითხვებზედ: რად, როგორ, რანაირად, რა სახით და სხვა... ბოლოვდებოდეს „დ“-ზე და არა „თ“-ზე, როგორც ბ. სილოვანი ხმარობს თავის გრამატიკაში. მე-4 გვერდზე, გამოც. 1911 წ. ბ. ს. ხუნდაძეს ნახმარი აქვს სიტყვა „ბავშში“. ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვიდან: „ბაუ(ვ)“ და ზმნიდან: „შობა“... ბაუ(ბავ)ვშვი და აქედან: „ბავ-შვი“. ამიტომ ეს სიტყვა უნდა იწერებოდეს ესე: „ბავშვი“ და არა „ბავში“. გვერდი 9. ავტორი ბრძანებს: „ი-ზე დაბოლოებული სახელები ყოველგან კარგავს ამ ი-ს“. ეს მართალი არ არის. ი-ზე დაბოლოებული სიტყვა ყველა ბრუნვაში არა ჰკარგავს ამ ი-ს. მაგალითად: სახ. იხვი, ნათ. იხვის, მიც. იხვს, მოთ. იხვმა, მოქ. იხვით და სხვა... მაშასადამე ი-ზე დაბოლოებული სიტყვა ნათ. და მოქ. ბრუნვებში არ კარგავს ი-ს.

სიტყვები დაბოლოებულნი ო-ზე და უ-ზე ისე იბრუნვის, როგორც დაბოლოებული ი-ზე. მაგალითად: სახელობითი ბუ, ყრუ, რკო, ნათ. ბუის, ყრუის, რკოის, მიც. ბუს, ყრუს, რკოს, მოთ. ბუმ, ყრუმ, რკომ, მოქ. ბუით, ყრუით, რკოით და სხვა...

მდაბიურადაც ესე იხმარება: ბუის ბუდე, ყრუის ძმა, რკოის მსგავსი. მხოლოდ მარტო კითხვაზე: ვისი? ან რისი? კეთილხმოვანების გულისათვის შეიძლება ითქვას: ყრუსი, ბუსი, რკოსი. მაგრამ ეს გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, მინამ კანონად ო-ზე და უ-ზე დაბოლოებულ სიტყვებისათვის მით უმეტეს, რომ ეს კითხვა ყოველთვის ესეთს პასუხს ვერ მიიღებს. მაგალითად: ვკითხულობთ: რა ისმის? ბუის (და არა ბუსი) ხმა. ვისმა შვილმა ააშენა სახლი? ყრუის შვილმა (და არა ყრუსი შვილმა). ამიტომ ბ. ხუნდაძე სცდება თვის მოსაზრებაში.

ზედსართი სიტყვები თუ არსებით სახელების შემდეგ—უკან ზის, ისე იბრუნება, როგორც თვითონ არსებითი სახელი. მაგალითად: „სული ბოროტი, ნათ. სულის ბოროტის, მიც. სულს ბოროტს და სხვა... ეს არის განსაკუთრებითი თვისება ჩვე-

# ატლასის მთაზე

მთაზედა ვარ... და ვსტირ, ვსტირ ეშხ-ნაკრავი,
დავცქრიალებ მთის გულ-მკერდზე ვით კრავი;

სული მტკივა, ფიქრითა ვარ ავადა
და ცრემლს ვაფრქვევ, ცრემლს ზღვის შესართავადა;

კოცნის ტალღავ! ტანჯვა შემიმსუბუქე,
ფერხთა მტვერი მიწყალობე, მაჩუქე.

*

ეჰ, ვინ იცის, თუ ჩამოვსწყდე ამ არეს,
თუ ვეწვიო, ქვესკნელს, შავ-ბნელ სამარეს.

იადონო! ნუ შემიწყვეტ სიმთ ჟღერას,
თვით საფლავშიც ჰანგად დავსწნავ აზრთ-სფერას;

ჩემს გულის წყლულს ცრემლი ნამად ასხურე,
ოქროს კალთა დამაფარე, დამხურე.

ი. გრიშაშვილი.

✦ უკანასკნელ დღეებში მტკვარმა ნახევარ არშინი მოიმატა.

✦ **ხმოსანთა კრება.** დღეს კრება ექნებათ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს, რომელნიც მოისმენენ ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის მოხსენებას პეტერბურგში მოგზაურობის შესახებ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების წევრთა საერთო კრება 24 აპრილს მოხდება. კრება აირჩევს გამგეობის ახალ წევრებს.

✦ ქალაქის გამგეობას განსახილველად წარედგინა საკითხი ფულის გადადების შესახებ **ვაკეში ბაღის გასაშენებლად.**

✦ **წარმოდგენა ავჭალის სახალხო აუდიტორიაში.** დღეს წარმოდგენილ იქნება ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასი 5—20 კ.

✦ კვირას, 24 აპრილს, კ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში **ბ. ბეგლარიძე გამართავს სალიტერატურო დილას,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ა.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. შალიკაშვილი, ზ. საფაროვი, ია ეკალაძე, ი. ელეფთერიძე, ი. ბარათაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. კანდელაკი, ქ. მაყაშვილი, ი. საგირაშვილი და ბ. ახოსპირელი. ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.

✦ ტფილისის მაზრებში **საკრედიტო საზოგადოებების მოსაწყობლად** საგანგებოდ გაგზავნილი წვრილი კრედიტის ინსპექტორი **ივანე იოსების ძე ნავრატილი** გუშინ დილით ტფილისში დაბრუნდა. მას საკრედიტო ამხანაგოპები დაუარსებია პატარძეულში, ოზურგეთში, მუხრანში, მეჯვრისხევში, ქვემოქალაში, გლდანში, საქაშეთში. აგრეთვე ბორჯომსა და ჰობის ხევში გამოკვლევა მოუხდენია. ასე რომ, აქამდის ტფილისის გუბერნიაში 30 წვრილი საკრედიტო ამხან. ყოფილა გახსნილი. განზრახულია **ჯერ-ჯერობით** კიდევ 10 საზოგადოების გახსნა.

✦ **ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლის** გამგეობას უკვე დაუმზადებია 1910 წლის მოღვაწეობის ანგარიშები, საიდანაც სჩანს, რომ: წლის განმავლობაში სულ 192 წარმოდგენა ყოფილა. აქედან: რუსული—68, ქართული—33, სომხური—32, მალოროსიული 26, ებრაული—10, სამუსიკო საზოგადოების—10, მუსულმანური—8, დანარჩენ ნაციების—4. შემოსავალი: რუსულ წარმოდგენებიდან —13,481 მ. 43 კ. ქართ. —5,171 მ., სომხ.—5,107 მ. 80 კ. მალოროს.—4098 მ. 40 კ., ებრ.—1707 მ. 60 კ., მუსულმ.—618 მ. 35 კ., დანარჩ.—506 მან. 45 კაპ. სულ 32,928 მან. 63 კაპ. გარდა ამისა 11 კონცერტი და 47 ლექცია ყოფილა. შემოსავალი აქედან—3436 მ. 50 კ. ყოფილა. ქალაქის სასარგებლოდ წარმოდგენებიდანა და ლექციებიდან შემოსულა: 11894 მ. 21 კ. წარმოდგენებსა და ლექციებს დასწრებია სულ 97,073 კაცი; აქედან: რუსულ წარმოდგენებს—34,093, ქართულს—18,514, სომხ. —16,990, მალოროს.—12,883, ებრაელ.—4759, მუსიკ. საზ.—5,173, მუსულმ.—2,875, დანარ. ერების—1804. საერთოდ ლექციებსა და წარმოდგენებს 113,311 კაცი დასწრებია.

✦ დღეს, 16 აპრილს, საზოგადო კლუბში, ბირჟის დარბაზში ასტახოვი და ანდრეევი „თვით მკვლელობაზე“ **რეფერატებს წაიკითხავენ.** რეფერატების შემდეგ კამათი გაიმართება.

✦ 14 აპრილს ტფილისში 37 უმასპინძლო შეიპყრეს.

ქ უ თ ა ი ს ი

✦ 13 აპრ. **ციხიდან გაანთავისუფლეს** ჟურნალ-გაზეთების კანტორის „იმერეთის“ მმართველი ის. კვიცარიძე; მას ერთი წლის კიხე ჰქონდა მისჯილი 129 მუხლ. ძალით, რუსეთ'ში გამოსულ უწინასწარცენზუროდ გამოცემათა გავრცელებისათვის.

✦ **უმაღლესად ნაბოძები ფული 20.000 მ.** თავად-აზნაურობამ სტიპენდიებად გაანაწილა, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა, ახლად აღარ გასცეს სტიპენდიები და ეს ფული ქართული გიმნაზიის საჭიროებას მოახმაროს. დეპუტატთა საკრებულოს ცნობებით, ამ ფულიდან უკვე განთავისუფლებულა 6000 მანეთი, რომელიც გიმნაზიის საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

✦ უტყუარ წყაროდან ვიცით, რომ **განსვენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ორას ორმოცდა ათი თუმანი დასტოვა თავის სიტყვათა და მოძღვრებათა გამოცემისათვის.** ეს ფული ერთ-ერთ ბანკში ინახება აგერ მეთექვსმეტე წელიწადია და თავის სარგებლით აქამდე იმდენად გაიზრდებოდა, რომ დღეს სახელოვან მღვდელ-მთავრის შესანიშნავი ქადაგებათა სავსებით გამოცემა შეიძლებოდა.

✦ თავად სვ. წერეთელს შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული, რომ **ქართული გიმნაზიის შენობის დასამთავრებლად** სახელმწიფო ხაზინიდან მისცემოდა აზნაურობას 100 ათასი მანეთი სესხად იმ პირობით, რომ ეს ფული გასტუმრებულიყო ხუთი წლის განმავლობაში უმაღლესად ნაბოძევის ფულით. ეს შუამდგომლობა, როგორც გავიგეთ, მთავრობას არ შეუწყნარებია.

✦ 24 აპრილს დანიშნულია ქართული დასის **რეჟისორის მ. ქორიძის ბენეფისი.** ბენეფისისთვის მზადდება ჟულავსკის პიესა „ეროს და პსიხეა“.

✦ სამშაბათს, საღამოს 9 საათზე **ციხის მეორე განყოფილებაში ზედამხედველმა შეამჩნია, რომ ნარის ქვეშ ცემენტის იატაკი აჩიჩქნილია.** ამ გარემოებამ ყურადღება მიიქცია და როცა დაუკვირდნენ და გასინჯეს ადგილი, ნარის ქვეშ აღმოჩნდა **ორმო,** რომელსაც თავზე დაფარებული ჰქონდა ფიცარი. მაშინვე შეატყობინეს ციხის უფროსს, პოლიცმეისტერს და ადმინისტრაციის სხვა მოხელეებს. ორმოში აღმოჩნდა **ხის** პატარა ნიჩაბი და ემალიანი თეფში. ორმოს, როგორც გამოირკვა, დიდი ხანია თხრიდნენ და ამოღებულ მიწას ფეხის ადგილის ორმოში ყრიდნენ ღამ-ღამობით. ამ ნაირად ნათხარი ორმო ქუჩის ქვეშ იყო გაყვანილი და მცირე მუშაობა იყო საჭირო, რომ იგი შავგულიძის ეზოში ამოსულიყო. გამოძიებამ ჯერ-ჯერობით ეს აღმოაჩინა: ორმა ტუსაღმა ქურციკიძემ და უზნაძემ განაცხადეს, ორმოს ჩვენა ვთხრიდით, და ამ საქმეში სხვა არავინ ურევიაო (კოლ.).

ბ ა ქ ო

✦ 13 აპრილს პოლიციელი მიხეილ კირილოვი სომხების კოლონიიდან ბრუნდებოდა; მას **თავს დასხმია 10 შეიარაღებული სომეხი, ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი წაურთმევიათ** და გაქცეულან. პოლიციელის ჩვენებით ბახშო მარგისოვი და ლეონ სეკინიანი დაუტუსაღებიათ.

✦ ბაბაევის თევზის სამრეწველოში, სოფ. ბილგის მახლობლად **მთა ჩამონგრეულა** და ქვეშ მუშათა სადგომი დაუტანია. მთის ჩამონგრევის დროს სადგომში სამი ქალი ყოფილა, ევდოკია კაზმაევისა, მარიამ ნაშიკოჩნიკოვისა, და მარიამ მენშიკოვისა 8 წლის ბავშვით. პირველ ორ ქალს გამოქცევა მოუსწრია, უკანასკნელნი კი **დაღუპულან.** ბაბაევსა და მუშებს 1000 მან. ზარალი მოსვლიათ.

✦ ბიბიეიბათში რუსის საზოგადოების ადგილებში **ნავთის შადრევანმა ამოჰხეთქა,** რომელიც დღეღამეში 200 ათას ფუთს ნავთს ისვრის.

✦ 14 აპრილს მოხდა 20 აპრილისათვის არჩევნებზე შესასვლელი **მოწმობების მიცემა.**

✦ „ბაკინეცის“ სიტყვით, თბილისის ქალაქის არჩევნების გაბათილების შესახებ, რომელიც რუს ამომრჩეველთა ჯგუფმა შეიტანა ქალაქის უფროსთან **არაფერ დასაბუთებულს არ წარმოადგენს** და ამიტომ არჩევნები გაბათილებული არ იქნება.

# ცოტა რამ

## ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გიორგიწმინდის სკოლის შესახებ

ბევრი რამ ითქვა და დაიწერა გაზეთებში გიორგიწმინდის სკოლის შესახებ, მაგრამ მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა კიდევ ვსთქვა ამ სკოლის შესახებ და მის მტრებზე, რომ უფრო ნათლად დავინახოთ უკანასკნელ ვაჟბატონთა ფიზიონომია. 1908 წელს გიორგიწმინდელებმა განაჩენით სკოლა დაუქვემდებარეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რომელმაც მასწავლებელი გამოგზავნა გიორგიწმინდაში 1909 წელს 8 იანვარს. ერთი წლის შემდეგ ამ სკოლის არსებობისა, მეზობელ სოფლის საგარეჯოს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ასტეხეს განგაში; ამბობდნენ,—„ჩვენ შევცდით, რომ გიორგიწმინდაში სამინისტრო სკოლა არ გავხსენით, ახლა აუცილებლად ქ. შ. წ. კ. გ. ს. გიორგიწმინდის სკოლა უნდა გადავცეთ დირექციას, რადგან არავითარი განსხვავება არ არის წ. კ. გ. ს. სკოლებისა და სამინისტრო სკოლებს შორისო“. ამას ამბობდნენ საგარეჯოს „უმაღლეს განათლებით“ აღჭურვილნი ეროვნულ საქმეთა მოძულე ინტელიგენცია. უნდოდათ სკოლის გადაცემა დირექციისათვის, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ეს ერთი სიტყვის თქმით შეუძლებელი იყო, ამიტომ ამათაც მიჰყვეს ხელი გიორგიწმინდელ გლეხთა შორის აგიტაციას, მიმართულს წ. კ. გ. ს. სკოლის წინააღმდეგ. სხვათა შორის ერთი „ნასწავლი“ აგენტიც გაიჩინეს გიორგიწმინდაში, რომელმაც თავისი სიტყვა-პასუხით მოხიბლა თითო-ოროლა გულუბრყვილო და შეუგნებელი გლეხი და აამხედრა სკოლის წინააღმდეგ. რასაკვირველია, დირექციამაც შეიტყო ეს ამბავი და ხელად მოწერილობა აფრინა 1910 წ. 8 იანვარში გიორგიწმინდის მამასახლისის სახელზე, რომელიც სწერდა: დირექცია თანახმაა, სახელმწიფო ჯამაგირიანი მასწავლებელი გამოიგზავნოსო, ოღონდ თქვენ შენობა დაუთმეთ სკოლას და მოსამსახურე მიეცით მასწავლებელსო“. გაიგეს თუ არა საგარეჯოს „განათლებულმა“ მეზობლებმა ეს, მაშინვე მოაწერინეს საგარეჯოს მთავრობის მამასახლისს გიორგი წმინდის მამასახლისზე, რომ მას მარტის 19-ში 1910 წ. შეეკრიბა გიორგი-წმინდის საზოგადოება, რომელ ყრილობის მიზანიც იყო განხილვა დირექციის მოწერილობისა და აუცილებლად გადაცემა ამ სკოლისა დირექციაზე. მამასახლისმა შეჰკრიბა საზოგადოება. გადმობრძანდნენ საგარეჯოს განათლებული მეზობლები მთავრობის მამასახლისით და ჩაფრებით. მიმართეს საზოგადოებას მომხიბლავი სიტყვებით: ერთ მასწავლებელს მთავრობა შეგინახავთ, ეს პროგრამაში განსხვავება არ არისო და სხვა ასეთები. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა მაინც ვერ მოხიბლეს და ვერ დაიყოლიეს. ერთხელ კიდევ სცადეს ასე, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. დღეს კი, როგორც ბ. ს. რ. წერილიდან სჩანს ნებით, თუ ძალით დაუყოლებიათ გლეხ-კაცობა და სამინისტრო სკოლა გაუხსნიათ ს. გიორგი-წმინდაში წ. კ. გ. საზოგადოების სკოლის შენობაში,—წერა კ. გ. საზოგადოების სკოლა კი სხვა შენობაში მოუთავსებიათ, მასწავლებლისათვისაც ჯამაგირი დაუკლიათ 5 მანეთით თვეში. საგარეჯოს „განათლებულ“ მეზობლებს სურდათ სულ მოესპოთ წ. კ. გ. ს. სკოლა გიორგიწმინდაში, მაგრამ, როგორც სჩანს ეს ვერ მოუხერხებიათ, რადგან ხალხი არც ისე ბრმა არის, როგორც მათ ჰგონიათ. ნათქვამია, „შინაური მტერი უფრო საშიში არის გარეულს მტერზედო“ და მართალიც არის. მე კარგად ვიცი, რომ გიორგიწმინდელებს შეეძლოთ ორი მასწავლებლის შენახვა თავიანთს ხარჯზე, რომლის საჭიროებასაც გრძნობდნენ და კიდევაც აპირებდნენ ასე: უნდოდათ ეს მეორე მასწავლებელიც წ. კ. გ. საზოგადოებას გაემწესებინა მათთვის; მაგრამ ძალიით მოახვიეს შინაურ-გარეულებმა სამინისტრო სკოლა თავზე და აბა ხალხი რას გააწყობდა. ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. სამინისტრო სკოლა გიორგი-წმინდაში წ. კ. გ. ს. სკოლას კონკურენციას ვერ გაუწევს, რადგან სწავლის მსურველთა

---

ნის ენის, რაზედაც გრამატიკაში სრულიად არა არის რა ნათქვამი. ქართულ კანკლედობის-მრავლობით რიცხვში ორნაირი დაბოლოებაა: ახალი: „ები“ და ძველებური: „ნი“. როდესაც მეორე დაბოლოებას „ნი“-ს ვხმარობთ, არსებითი სახელი და ზედსართი ერთნაირად იბრუნვის. მაგალითად: მაღალნი მთანი ანუ მთანი მაღალნი, მაღალთა მთათა ანუ მთათა მაღალთა და სხვ.... ამიტომ მაღალ მთათ, როგორც არის ნახმარი გრამატიკაში (გვერდი 24), უკანონოა. ბ. ავტორს კეთილხმოვანად (გვერდი 39) მიაჩნია: მშვენიერათ, მშიერები, იორის, ნიორის, ნიორიანი. ჩვენის აზრით, ბ. ავტორი შემცდარია და შემდეგი უფრო კანონიერად უნდა ჩაითვალოს: მშვენივრად, მშივრები, ივრის, ნივრის და ნივრიანი; მწერლობაში და პირად საუბარში ეს ფორმაა გავრცელებული და უპირატესობა ამას უნდა მიეცეს გრამატიკაშიაც. 43 გვერდი. სიტყვები: ბრტყელი, სხვილი, თფილი სისწორეს მოკლებულია. უნდა იწერებოდეს: ბრტყელი და მსხვილი. მწერლობაშიც ეგრე იხმარება. რაც შეეხება სიტყვას: „თფილია, შეუძლებლად მიგვაჩნია ამ სიტყვის ამნაირად ხმარება, რადგანაც ეს წარმოსდგა ზმნიდან: „თბობა“ და არა „თაობა“, ამიტომ უმართლესია სიტყვა „თბილი“. სხვათა შორის ამით აიხსნება ისიც, რომ დღეს ბევრი ქართველ მწერალთაგანი ცდება სიტყვა: „თბილისი“-ს დაწერაშიაც. ზოგი სწერს: „ტიფლისი“, ზოგი—„ტფილისი“,*) სწორე და მართალი კი „თბილისია“. რიცხვი-სამი ათი და ხუთი ასე იწერება: „ოცი და ხუთმეტი“ ანუ „ოცდა ხუთმეტი“; ამიტომ 55 გვერდზე მოთავსებული რიცხვი: „ოცდა თუთხმეტი“ სისწორეს მოკლებულია. მართლწერას მოკლებულია აგრეთვე სიტყვა: „ავათმყოფი“, უნდა იყოს „ავადმყოფი“ (ეს სიტყვა წარმოსდგა სიტყვებიდან: „ავი“, „ავად“ და „ყოფნა“. ყოფნა ზმნა არის და აქედან მიმღეობა აწმყო დროის იქნება „მყოფი“). მაშასადამე: „ავადმყოფი“ და არა „ავათმყოფი“ ხუნდაძეურად. 170 გვერდი. ზოგიერთ სიტყვებს თავში „მ“ გამოაკლდებაო ბრძანებს ავტორი. სრულიად არ ვეთანხმებით ბატონ ავტორს ამ აზრში. ის ესე სწერს: „დივანბეგი“. ეს სიტყვა იწერებოდა და იწერება ესე: „მდივანბეგი“, რაც სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. გავარჩიოთ ორთავე სიტყვები: დივანბეგი“ და „მდივანბეგი“. პირველი შესდგება ორი ნაწილისაგან: დივანი (დგომი) და ბეგობა (უფროსობა, უხუცესობა). აქედგან: „დივანბეგი“. დივანის (დგმის, ავეჯის) უფროსი, უხუცესი, მეორეც: „მდივანბეგი“ რთულია და შესდგება ორის სიტყვისაგან: მდივნობა (მწიგნობრობა) და ბეგობა (უფროსობა); აქედგან: „მდივანბეგი (მწიგნობართ უფროსი, უხუცესი). რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მნიშვნელობა და ფორმა უმართლესია და ეგრე უნდა იწერებოდეს (და არა „დივანბეგი“). თვისის გრამატიკის მე-188 გვერდზედ ბ. ხუნდაძე ბრძანებს: „ქვემოდ ის სინონიმები მოგვყავს, რომელიც მწერლობაში უნდა დარჩესო“. და ფრჩხილებში სვამს მწერლობიდან გასადევნს სინონიმებს და ფრჩხილებს გარედ მწერლობაში შესატანს. ამ სახით ავტორი უპირატესობას აძლევს კლასიკურს სახელებს თვეებისას: ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და დევნის მწერლობიდან ქართულ სახელებს ამ თვეებისას: თიბათვე (ივნისი), მკათათვე (ივლისი), ღვინობისთვე ანუ მწიფობის თვე (ოქტომბერი), რომელიც, შესაძლებელია, კლასიკური ენების გაჩენამდისაც კი არსებობდა. ქრისტიანული სახელები ჩამოთვლილი თვეებისა: იკანობისთვე (თიბათვე), კვირიკობის თვე (მკათათვე), მარიამობის ანუ მარიობის თვე, ენკენისთვე, გიორგობისთვე და ქრისტიშობისთვე. ამ თვეებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ დადგენილ დღესასწაულობისაგან წარმოსდგა და ეს სახელები ქართველ ერს შესისხლ-ხორცებული აქვს. მეტის-მეტად აღჭურვილი უნდა იყოს გრამატიკოსი ცოდნით და გამოცდილებით, როდესაც ამნაირს თავის მოსაზრებას კანონად უდებს საზოგადოებას, რომლის სულსა და გულს უფრო ასიამოვნებს თავისის სისხლიდან ამონაწოვი ტერმინები, მინამ კლასიკური. სოფლებში გლეხების უმეტესმა თუ არა, უმცირესმა მაინც არც კი იცის კლასიკური სახელები თვეების, რომელსაც წმინდა ქართული სახელი ჰქვიან, ქართულად უწოდებენ. ერთი სიტყვით ხმარებაში ყველა ტერმინები უნდა დარჩეს და ვისაც რა მოსწონს, ის იხმაროს.

გვერდი 188. ბ. ხუნდაძე ტერმინებს: სუფრა, მაგიდა და ტაბლა, რომელთაც სხვა და სხვა ნიშვნელობა აქვს, ერთმანეთში რევს, და უპირატესობას სუფრას აძლევს და, მისი აზრით, მაგიდა და ტაბლა ხმარებაში არ უნდა იქმნას. შეუწყნარებელი აზრია. სუფრა, როგორც მოგეხსენებათ, მაგიდაზედ დასაფარებელი ტილო ან ჩითი არის, მაგიდა ხის არის ოთხს ან სამს ფეხზედ დასკუპებული. ეს ორი ნივთი ერთმანეთის უმისოდაც კარგა იხმარება. ტაბლა კი საჭმელსასმლით გაწყობილ მაგიდას ეწოდება. უმეტესად კი სასმელ-საჭმელს. მაგალითად: მეზობელს მიცვალებულისთვის ტაბლა აქვს მომზადებული. აქ იგულისხმის ხარჯი (სასმელ-საჭმელი) და არა ტილო-ჩითი და ფიცრები ფეხებზედ შეკუპებული. ადარებს ერთმანეთს ეგრედვე ტერმინებს: ქვიჯა, როდინი და ავანდასტა და პირველი—ქვიჯა შეაქვს მწერლობაში, დანარჩენს:—როდინი და ავანდასტა—დევნის მწერლობიდან. ასე იქცევა ტერმინების: ქვასანაყის და ფილთაქვას შესახებაც. პირველს ღებულობს და მეორეს რიცხავს ხმარებიდან. ქვიჯა აღმოსავლეთს საქართველოში, რაჭაში, გურიაში და მესხეთში არ იხმარება. ამ სიტყვას სამეგრელოში და მცირე ნაწილი იმერეთში-სამეგრელოს მხრისკენ ხმარობენ. ამიტომ საზოგადო ტერმინად არ გამოდგება. გავრცელებული ტერმინია ფილი და ფილთაქვა და არა ქვასანაყი. ავტორი ხანჯალს უპირატესობას აძლევს, მინამ სატევარს. სატევარი (დასატევი, დატევა, დაუტე, შეუტიე) უსწორესი ტერმინი უნდა იყოს. ხუნდაძის აზრით ტერმინი: „კრავი“ მწერლობაში უნდა იხმარებოდეს და „ბატკანი“ კი გამოირიცხოს. ეს დასაჯერი არ არის. კრავი ნიშნავს პატარას (ჩვილს) და ბატკანი მოზრდილს (როგორც: გოჭი-ნაზარდი; ხბო-დეკეული; წიწილა-ვარია და სხვა... ამიტომ ორივე ტერმინი უნდა ვიხმაროთ. ბ. ხუნდაძე ბრძანებს: კუდი უნდა იხმარებოდეს მწერლობაში და ბოლო არაო. ესეც შემცდარი აზრია. კუდი და ბოლო ფრინველების და ცხოველების შესახებ ერთნაირად არ იხმარება. კუდი ცხოველთა და ბოლო ფრინველთა. ამიტომ გადაჭრით უნდა ვამბობდეთ: ცხოველებს აქვთ კუდი და ფრინველებს ბოლო. ასე უნებებია ბ. ხუნდაძეს ტერმინების: „ტყლიპი“ და „ტყირპი“-ს შესახებაც. პირველს—ტყლიპს უპირატესობას აძლევს, როდესაც ტყირპი უფრო კეთილ-ხმოვანია და სწორედ უნდა ჩაითვალოს. თუმც არც ელენთა უნდა დავივიწყოთ, ენის სიმდიდრე. გრამატიკაში პლანსაც უპირატესობა ეძლევა, მინამ გეგმას. პლანი სტუმარია და გეგმა შინაური. ამიტომ გეგმა უნდა ვიხმაროთ. ბულბული და იადონი სხვა და სხვა ფრინველი თუ არ არის, მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ორთავე სახელი დაცულ უნდა იქმნას. ბ. ავტორი ცდება ეგრეთვე ცხვირსახოცის და ხელსახოცის შესახებაც, როდესაც პირველს სტოვებს მწერლობაში და მეორეს კი დევნის. ცხვირსახოცი და ხელსახოცი ეწოდება ორს ნივთს, პირველის დანიშნულებაა ემსახუროს ცხვირს და მეორესი—ხელებს ჭამის დროს. ამიტომ როგორც ეს ორი საგანი რჩება ცხოვრებაში სხვა და სხვა მოვალეობის ასასრულებლად, ისე იმათი სახელებიც უნდა დარჩეს. ნიჭი, ხერხი და უნარი სხვა და სხვა ღირსებაა ადამიანის სულისა. ამიტომ გრამატიკოსი შემცდარია, როდესაც პირველი—„ნიჭი“ შეაქვს მწერლობაში და ხერხს და უნარს დევნის. უსაფუძვლოდ რევს ეგრეთვე ტერმინებს: „ცეკვა“ და „თამაში“ ერთმანეთში. ცეკვა კერძო შეგნებაა, თამაშობა კი საზოგადო, რომლის ხსენებაზე იგულისხმების ყოველნაირი თამაშობა, რასაც კი მოიგონებს ადამიანი. ამიტომ ორთავე უნდა ვიხმაროთ მწერლობაში. სხვა და სხვა შეგნებაა ეგრეთვე გათავება და დამთავრება. შესაძლებელია კაცმა საქმე გაათავოს, მაგრამ ვერ დაამთავროს. ძლიერ გვაკვირვებს, თუ რამ აიძულა ავტორი, აერია ერთმანეთში ამდენი ტერმინები და ისიც უკანონოდ.

სიტყვას: „ამინდი“, თუ არ ვცდებით, პირველად ბ. ხუნდაძე ხმარობს და უწესოდ. უნდა იწერებოდეს—„ამინდი“. ძველსაც და ახალსაც—ქართველ მწერლებს ეგრე აქვთ ნახმარი ეს სიტყვა.

ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ზმნების შესახებაც. (58 გვერდი, გამო-

---

*) „ტფილისს“ წერა შემცდარად არ უნდა იყოს, რადგანაც ძველს მწერლობაში, მაგალითად, ვიზრამიანში იხმარება სიტყვა «ტფილი». ქალაქის სახელიც აქედან წარმოსდგება და არა რუსულ „ტიფლისიდან“. **რედ.**

რიცხვი ჯერ-ჯერობით მრავალია და ორივე სკოლა ბავშვებით სავსე იქნება. თუ წ. კ. გ. საზოგადოების სკოლას ეყოლება გიორგი-წმინდაში სულის შთამბერველი მასწავლებელი, ენერგიული მუშაკი და მცოდნე თავის მოვალეობის და აგრეთვე ხალხის მასწავლებელიც,—ასეთი მასწავლებელი, რასაკვირველია, ააყვავებს გიორგი-წმინდის სკოლას, რითაც განსხვავებულ ნაყოფსაც დაანახვებს ხალხს და დაიმსახურებს უკანასკნელთა სიმპატიას, მაშინ, რასაკვირველია, მტკიცე ნიადაგზე დადგება წ. კ. გ. ს. გიორგი-წმინდის სკოლა და ისე ადვილად ვერავინ წამოკრავს ხელს. უსურვებ ქ. შ. წ. კ. გ. ს. გიორგი-წმინდის სკოლის მასწავლებელს ბ. ს. ნიკოლაიშვილს ეკლიანს გზაზე მოღვაწეობას, ენერგიას, რომ გიორგი-წმინდის სკოლა აყვავებულიყოს მის ხელში და მტკიცე ნიადაგზე დამდგარიყოს იგი. უნდა შევნიშნო ს. საგარეჯოს ინტელიგენციის წარმომადგენელთ და თვით დირექციას შემდეგი. თუ მათ გულითა და სულით სურდათ სკოლის გახსნა ს. გიორგი-წმინდაში, სად იყვნენ მაშინ, როცა გიორგი-წმინდელები უსკოლოდ იყვნენ? რისთვის მაშინ არ მოიწადინეს სკოლის გახსნა გიორგიწმინდაში. ტფილისის დირექცია ისეთ „გულ-უხვობას" იჩენს, რომ ხსნის სამინისტრო სკოლას 300 კომლიან სოფელში, სადაც დირექტორის ნებართვით უკვე გახსნილია წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა, მეზობელ სოფლებში კი, კარგად ხედავს, რომ ხალხს არც ერთი სკოლა არა აქვს და უმეცრების მორევში სცურავს, როგორც მაგალითად ს. მანავი, ს. ნინოწმინდა, თოხლიაური და სხვა, და არ ხსნის ამ სოფლებში სკოლებს. 1910 წლის 16 მარტ-მობრისთვეში გიორგიწმინდის სკოლის შესახებ ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. ფედოროვსკიმ მითხრა: „გიორგიწმინდაში ჩვენ სამინისტრო სკოლის გახსნა გვინდა 1 ეკენისთვიდან წერა-კითხვის გ. საზოგადოების სკოლის შენობაში, თქვენ კი იმ შენობიდან მიბრძანდით, რადგან ის შენობა წინად ჩვენი იყოვო". (გიორგიწმინდაში უმალ სამინისტრო სკოლა იყო.) როდესაც შევეკითხე: თქვენის ნებართვით გაიხსნა წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა ს. გიორგიწმინდაში, ყოფილ სამინისტრო სკოლის შენობაში და ეხლა რისთვის არ გვაძლევთ ნებას, რომ იმ შენობაში ჩვენი სკოლა დარჩეს მეთქი,—მან მომიგო: „სკოლა გქონდეთ გიორგიწმინდაში, მაგრამ იმ შენობიდან კი მიბრძანდით, რადგან, ვიმეორებ, ის შენობა ჩვენ გვეკუთნისო. საკვირველია, ღმერთმანი! გიორგიწმინდის საზოგადოებამ სკოლის შენობა აავო თავის ხარჯით, დირექცია ერთ შაურსაც არ დახმარებია და დღეს ამ საზოგადოებას უფლება არა აქვს ამ შენობაში მოათავსოს წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა. აქ კომენტარიები საჭირო არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, სადაც არის ძაღლის თავი დამარხული.

**არისტოკლე რამინაშვილი.**

# ალბანეთის აჯანყება

**იტალია და ალბანეთი**

ალბანეთის აჯანყება რომის პოლიტიკურ წრეებს ძალიან ალონებს. მიზეზი ის არის, რომ იტალიელი თავისუფალი მეომრები ალბანელებს დღე-დღეზე მიეშველებიან. გენერალ რიჩიოტტი, გარიბალდის ემისარი უკვე ალბანეთშია, მეამბოხეებთან მოლაპარაკება აქვს გამართული და საქმის მდგომარეობასა სწავლობს. გენერალი რიჩიოტტის შვილი, რომელიც აქამდის მექსიკანელ მეამბოხეთა რაზმებში იყო, ეხლა მამის ლოცვა-კურთხევით და თანხმობით ალბანიაში წავიდა. მთავრობამ გარიბალდს გამოუცხადა, რომ ძალას არ დავიშურებთ და შენს ექსპედიციას ჩავფუშავთო. მართლაც და სამხედრო-საზღვაო მინისტრმა ნავთ-სადგურ მიკონის მმართველებს ბრძანება მისცა „წითელ პერანგოსანნი" ქალაქიდან არ გაუშვათო. გარიბალდელებმა ამის გამო მოქმედების გეგმა შესცვალეს. გადასწყვიტეს, ყველა ერთად კი არ გაემგზავროს იტალიიდან, არამედ ჯგუფ-ჯგუფად, 20—30 კაცი თითო ჯგუფში. ესენი ბალკანეთში ერთ დანიშნულ ადგილას შეიკრიბებიან. იქვე დროზე მივა გენერალი გარიბალდი და შემდეგ ერთად გასწევენ ალბანეთისაკენ. გარიბალდი უნდა ეცადოს და თავის მთავრობას გაეპაროს. თითონ გენერალი ამბობს, გალაშქრების დრო კარზეა მომდგარი. ერთი ორიოდე კვირა კიდევ, ვიდრე მთებზე თოვლი ჩამოდნება და ავიყრები კიდეცაო,—ამბობს გარიბალდი. მას მეტი ლაპარაკი უყვარს, იმიტომაა, რომ თავის გეგმებს ხშირად გამცემლავნებს ხოლმე. ეხლაცა სთქვა, რომ ალბანეთის ჯერ მშვიდად მყოფ თემებს ავაჯანყებ, მერე უკვე აჯანყებულთ შევუერთდები, მათთან ერთად სკუტარის ავიღებ და ამ ქალაქს სამოქმედო ბაზად გავიხდიო.

გარიბალდის მრავალი სტუდენტი ემხრობა, მას ფული ბლომადა აქვს, იარაღის ყიდვა სისწრაფითა სწარმოებს. ეს არის მიზეზი, რომ იტალიის მთავრობა ძალიანაა შეშფოთებული, ექსპედიციას ხელს ადვილად ვერ შეუშლის და ადვილი შესაძლებელია, რომ იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს. მთავრობამ თავის ოფიციოზის საშუალებით მიჰმართა „ჯუზეპე გარიბალდის შვილს", ემუდარებოდა სამშობლო ქვეყნის ბედს ნუ ეთამაშებიო. გენერალმა უპასუხა: ვიდრე რომში ვარ, სამწუხარო რა არისო? ამ პასუხით გარიბალდიმ მთავრობას დავთრები აურია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბირინი.** გზათა მინისტრმა მდინარე სუნგარზე გემთა მიმოსვლის წესდება დაამტკიცა.

**მანილლა.** კუნძულ იოლოდან (ზულოვის არხიპელაგი) იტყობინებიან, რომ ჰოლანდიელებმა კუნძული პალმასი დაიჭირეს და ამერიკელების ბაირაღი ჩამოიღესო. შეერთებულმა შტატებმა ამაზე ხმა არ ამოიღო, რადგანაც ამ კუნძულს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

**სტამბოლი.** ორი წელიწადი შესრულდა, რაც სულთანი ტახტზე ავიდა. ქალაქი ბაირაღებითაა მორთული. ბოსფორი გაჩირაღდნებულია. ამნისტიამ გაანთავისუფლა 79 ალბანელი, რომელთაც აჯანყებაში ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა და 216 მუსულმანი სალდათი; ესენი ადანში მომხდარ უწესოებაში მონაწილეობას იღებდნენ.

მინისტრმა, გუშინდელ სიტყვაში მემონის საქმის შესახებ სთქვა, რომ არავითარი სახელმწიფო ქაღალდები არა ყოფილა გაყიდულიო.

**მადრიდი.** ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ისპანია გერმანიას შეეკითხა, მაროკოს საქმეებში ჩემი ინტერესები დაცულ იქნება თუ არაო; გერმანიამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა.

**ვენა.** ბელგრადში მყოფ დესპანს დაევალა ბულგარეთის მეფეს აცნობოს, რომ იმპერატორი იძულებულია მის დარბაზობაზე უარი განაცხადოს.

**რომი.** საზეიმო სადილზე ვიქტორ-ემმანუილმა და შვეციის მეფემ გულითადი სიტყვებით მიჰმართეს ერთმანეთს.

**ტანჟერი.** ბრემონი რაპორტით იტყობინება, რომ ჩეხების ჩრდილოეთისაკენ მოძრაობას ჰპობები უშლიანო. მტრის 5000 კაცი ორჯელ დაგვესხა თავს, მაგრამ ორჯელვე მოვიგერიეთ. 9 აპრილს ბრემონმა მოიწერა, რომ მანჟენის ბრძანებით რეისმისაკენ წავედი, რაკი ფეცის მდგომარეობა ცუდიაო. რაზმი დაღლილია და 30 ავადმყოფი მყავსო. 8 აპრილს ბრძოლა მოგვიხდა და 60 კაცი მოგვიკლესო.

**ბუენოს-აირესი.** მდინარემ რამდენიმე არშინზე იმატა. მრავალი სოფელი წალეკილია. დაქცეულ სახლებს ქვეშ რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა და უსახლ-კაროდ დარჩა.

**რ უ ს ე თ ი**

**ეკატერინოსლავი.** იასინოვატაიასა და კრინიჩნაიის შუა მატარებელს ვაგონები მოსწყდა და დაეჯახა. 21 ვაგონი დაიმტვრა. 6 კაცი მოკვდა.

**ეკატერინოდარი.** ყუბანის ოლქის ექიმთა პირველი კრება გაიხსნა.

**კიევი.** დნეპრმა ძალიან იმატა. რამდენიმე სოფელი წყალმა უკვე დაფარა. მდინარის ნაპირები ინგრევა.

**პეტერბურგი.** ქალთა საექიმო კურსების დირექტორი პროფესორი სალასკინი სამსახურიდან დათხოვნილი სამინისტროში იქნა ჩარიცხული.

**კიევი.** ებრაელთა საავადმყოფო დაიწვა. საგუბერნიო ერობას მემამულე ქალმა ჩევოლსკისამ 15.000 მან. შესწირა. ამ ფულით სახალხო სასწავლებელი უნდა აშენდეს და შემწირველის ქმრის სახელობაზე ორი სტიპენდია დაარსდეს.

**ოდესა.** პროფესორმა ლევაშევმა და პრივატ-დოცენტმა უსკოვმა ერლიხისაგან წერილი მიიღეს. ერლიხი ორივეს მადლობას უძღვნის, რომ მათ „606" საოფლეზე პირველად იხმარეს და შედეგებიც კარგი მიიღეს.

**მოსკოვი.** პოლიციამ აღმოაჩინა ერთი ჯგუფი, რომელსაც აზრად ჰქონდა ექიმთა კრებაზე პარტიული პროგრამა გაეყვანათ. იპოვეს წერილები და ადრესები. მრავალი დააპატიმრეს. დატუსაღებულთა შორის მუშების 6 წარმომადგენელია.

**სოსნოვიცი.** ქვაბების ქარხანაში გაზების მილები გაფუჭდა და ერთი ინჟინერი და 7 მუშა მოიწამლა. ამათგან 4 მოკვდა.

**ნიკოლაევი.** გაიხსნა რუსეთისა და უცხოეთის ახალ მხატრობის გამოფენა.

# თეატრი და ხელოვნება

**ბორჯომი.** სამშაბათს, 12 აპრილს, ქ. შ. წ. კ. გ. ს. ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარემ ნ. ჯომარდიძემ, სცენის მოყვარეთა დახმარებით, განყოფილების სასარგებლოდ დასდგა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ოთხ. მოქმ. დრამა თავ. დ. ერისთავისა „მეორედ გაყმაწვილება". წარმოდგენის შემდეგ ქართულმა ხორომ, ა. მაისურაძის ლოტბარობით, შეასრულა რამდენიმე სიმღერა. ამ მომღერალთა გუნდმაც ბევრი ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. **ყვავილი.**

# ს პ ო რ ტ ი

**ფრანგული ჭიდაობა**

14 აპრილს ოთხი წყვილი ჭიდაობდა. ბულმა 20 წუთის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხა სტუდენტს ვ. ნ. ბ-ს, რადგანაც უკანასკნელი კარგად იცნობს ბულის მატყუარა ხრიკებს და ძლიერ ფრთხილად ჭიდაობს. შემდეგ მოხდა პირველი გამოსვლა ბუმბერაზის **შავი ნიღაბისა.** ასეთი ტანის პატრონისათვის სწორედ გასაკვირია ის სიმარდე და ფიცხობა, რომელიც გამოიჩინა შავმა ნიღაბმა. 40 წამის შემდეგ თავისი მოპირდაპირე რუსაკოვი მიწაზე კისრულით დაანარცხა. მესამე წყვილის ჭიდაობამაც არ გასტანა დიდხანს. აქ მოხდენილი მოჭიდავე **ჩორნი** შეხვდა ბელოუსოვს; უკანასკნელმა მუხრუჭივით ჩაუჭირა თითები ჩორნის მკლავს, ისე რომ, უკანასკნელი ველარაფერის საშუალებით ვერ განთავისუფლდა. წელში შევარდნით 6 წ. და 2 წ. ჭიდაობის შემდეგ ბელოუსოვმა დასძლია ჩორნი. და ბოლოს პაწაწა კაცუნიებმა გუბერმა და არვიდმაიერმა იჭიდავეს. ჭიდაობა გუბერის გამარჯვებით დამთავრდა.

# გამოსადეგი ცნობა

**ტფილისის ბირჟა**

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4 % სახ. რენტა | $94^1/_2$ |
| 5% გირ. ფ. სათ.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ. | $99^7/_8$ |
| 4% " " " " " | $90^5/_8$ |
| $3^1/_2$% " " " " " | $85^3/_4$ |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | $87^1/_2$ |
| $4^1/_2$% " " " " " | — |
| 5% " " ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | — |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. სახ. | — |
| $4^1/_2$% " " " " | — |
| 5% I მომგებ. ბილეთ. | 470 |
| 5% II " | 390 |
| 5% III " | $339^1/_2$ |

**სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი ერევნული | 14 მ. 60 კ. |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 56 " |
| ჭიათ. მავი-ქვა (ჩვეულებრივი) | 6 " |
| ჭიათ. მავი-ქვა (გარეცხილი) | 7 " |
| ყველი ქართული | $7—8^1/_2$ მ. |
| თხილი ზაქათალისა | 3 მ. 35 კ. |
| ღვინო კახური | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (თავისა) | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (ფხვიერი) | 4 მ. 60 კ. |
| ხორბალი | 1 მ. 10 კ.-დან 1 მ. 20 კ. |
| ქერი | 1 მ.-დან 1 მ. 20 კ. |
| სიმინდი | 70 კ.-დან 80 კ. |


# განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—86)

დოქტ. ნავასარდიანცისა

ყოველ დღე, კვირებს გარდა. დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბახანოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. ვ. გეგეჭკორი-ენუქიძე: 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარცინოვსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. 1163—15)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაუყდავით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებით. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—29)

„სამსონინი"

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—16)

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი

◀ ლ ევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიცა 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


გალითად: „ვაწერ", აქ ფორმა უმისოდაც ნიშნავს პირველს პირს „მე"-ს და დატება მეტია. გიკითხავ—ეს ფორმაც ნათლად აჩვენებს პირველს და მეორე პირს და ნაცვალსახელი: „მე" და „შენ" მეტია.

ცემა მე-III-ე, შენიშვნა 2). ბრძანებს. ავტორი: „ზოგჯერ უთავსართო ზმნას სრული სახის მნიშვნელობა აქვს: მე ვისადილე, მე ვინადირე, ჩვენ ვიშოვნეთ და სხვა"... ავტორი ამ აზრისა შემცდარია, რადგანაც აღნიშნული ზმნები თავსართიანია და არა უთავსართო. უთავსართო რომ ყოფილიყო, ეგრე იქნებოდა: ვსადილობდი, ვნადირობდი, ვშოულობდი, და მნიშვნელობაც ექნებოდა უსრული. „ვი" თავსართია, ამიტომაც: ვისადილე, ვინადირე, ვიშოვნე, თავსართიანი ზმნებია.

(გვერდი 70, შენიშვნა 4). მოთავსებულია შემდეგი განმარტება: „როცა ზმნა აწმყოში ობ-ზე ბოლოვდება, მყოფად დროში თავში ი-ს ჩაირთავს: ვკითხულობ, ვიკითხავ, ვთხოულობ—ვითხოვ..." ჩვენის აზრით, ეს შეურყეველი კანონი ვერ არის იმიტომ, რომ შემდეგი ზმნები ბოლოვდება ობ-ზე, მაგრამ ი-ს არ ჩაირთავს: მაგალითად: ვსწყალობ—უწყალობებ (ვიწყალობებ რომ ვსთქვათ, ზმნას მნიშვნელობა გამოეცვლება). ვცდილობ—ვეცდები და არა ვიცდები (მნიშვნელობა იცვლება), ვპატრონობ—უპატრონებ (და არა ვიპატრონებ, აზრი იცვლება) და სხვა...

(გვერდი 163, შენიშვნა 11). ბრძანებს ბ. ხუნდაძე: „შემდეგი ზმნები ა-ნით უნდა ვიხმაროთ (და არა ე-ნით): ვდგავარ, ვგავარ, ვყავარ..." სწორედ მოგახსენოთ, ესეც შემცდარი აზრია. ეს ზმნები სულ სხვანაირად იხმარება, არა მარტო ეხლა, არამედ ქართულის მწერლობის განვითარებიდან დღემდის. საჭიროდ არა ვსთვლით, თორემ ათასობით მოვიყვანდით მაგალითს.

რომ ზმნები: ვდგევარ; ვყავარ ე—ნით იხმარება და არა ა—ნით სრული ჭეშმარიტებაა. აი მიმოვხრათ და ვნახოთ.

ვდგევარ, დგეხარ, სდგას, ვდგევართ, დგეხართ, დგანან; ვგევარ, გევხარ, ჰგავს, ვჰგევართ, გევხართ, გავთ (გვანან); ვყევარ, ყევხარ, ჰყავს, ვყევართ, ყევხართ, ყავთ (ყვანან); ამ ფორმებში იხმარება მწერლობაშიც და საუბარშიც ეს ზმნები. 184 გვერდი, შენიშვნა 8. გრამატიკაში შეხვდებით ამნაირ ფორმასაც: „ჭიქა გასტყდა". უნდა იყოს გატყდა. აი რატომ: სახეზმნა გატეხა. ნამყო სრული: გავტყდი, გატყდი, გატყდა (და არა გასტყდა).

გვინდა ავტორის ყურადღება მივაქციოთ მეორე გამოცემის 21 შენიშვნასაც, გვერდი 234, სადაც ხალხში ხმარებული ფორმა ზმნისა: ისინი წვანან გადამახინჯებულია ასე: ისინი წევან. დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ზმნის ფორმა: „წევან" ყოვლივე სისწორეს და სიმართლეს მოკლებულია. უნდა იხმარებოდეს ფორმა: „წვანან". ბ. ს. ხუნდაძის გრამატიკის ნაკლულევანებად ჩაითვლება ისიც, რომ ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული ქართულის ენის ორს თვისებასაც. 1) არა არის რა ნათქვამი პიროვნებითი ნაცვალსახელების შესახებ, რომელიც თითქმის ხმარებაში იშვიათად არის, რადგანაც ზმნების ფორმები თვითონ ნიშნავს პირს და ნაცვალ სახელი საჭირო არ არის. მაგალითად: „ვაწერ"...

2) ქართულის ენის დიდი ღირსება და სიმდიდრე მრავალ-ფეროვანი ფორმები ზმნებისა, რომელთა შორის სამ მეოთხედს მაინც მიჩემებითი ფორმები შეადგენს. ეს საინტერესო მოვლენა ქართულის ენისა ყველა უცხოს აკვირვებს. მოვაგონებთ პატივსაცემ მკითხველებს ლექციებს ბ. იუსტინე ირაკლის ძის აბულაძისას კავკასიის შესასწავლად დაარსებულს კურსებზე, სადაც ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელი ქართულის ზმნების მიჩემებითი მრავალ-ფეროვან ფორმების და კანონების ახსნით ამ ჩვენს სახელოვანს მეცნიერს. ძნელია ეს მხარე ქართულის ზმნებისა გასაგებადაც შედარებით სხვა მხარეებთან და ამიტომ მეტი ალაგი უნდა დაეთმოს გრამატიკაში, მინამ ეხლა აქვს.

ჩვენგან დასახელებულ ნაკლულევანებათა გარდაც მოიპოვება ამ გრამატიკაში უსწორობა, მაგრამ ესეც კმარა, რაც უჩვენეთ; ჩვენ სახეში მხოლოდ ის გვაქვს, რომ მივაქციოთ ყურადღება ბ. ს. ხუნდაძის, სახელოვანის პედაგოგის, სწავლით და გამოცდილებით ცნობილის, ჩვენის აზრით, მის საპატიო შრომაში შეპარულ ნაკლულევანებაზედ. ცხოვრების კანონი ასეთია: ვინც მეტს შრომობს, ის მეტს ცდება. **იმნაიშვილი.**